საბავშვო ონლაინ უნივერსიტეტი/Digitale Kinderuni

მოამზადა ხათუნა მჭედლიშვილმა

გერმანული საბავშვო ონლაინ უნივერსიტეტი (Kinderuni) წარმოადგენს გოეთეს ინსტიტუტის უფასო საგანმანათლებლო პროექტს და ძირითადად განკუთვნილია **8-დან 12** წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

დიგიტალური საბავშვო უნივერსიტეტი გთავაზობთ სამ ფაკულტეტს:

ფაკულტეტი ადამიანი

ფაკულტეტი ბუნება

ფაკულტეტი ტექნიკა

თითოეული ე.წ. *ფაკულტეტი* მოიცავს შემეცნებითი ხასიათის **10 დოკუმენტურ ფილმს** შესაბამისი სახალისო დავალებებით, რომელთა საშუალებითაც თქვენი მოსწავლეები გაიმდიდრებენ ლექსიკას, განივითარებენ მოსმენის, აღქმის, ყურადღების კონცენტრირების და შემოქმედებით უნარებს.

დიგიტალური საბავშვო უნივერსიტეტის გამოყენება შეიძლება სასწავლო პროცესში სხვადასხვა თემასთან კავშირში ან უბრალოდ მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით და საგანთშორისი კავშირების დასამყარებლად.

დავალებები განკუთვნილია A1/A2 დონისათვის

სამივე *ფაკულტეტის* გავლისა და დავალებების შესრულების შემდეგ, მოსწავლეები მიიღებენ საბავშვო **უნივერსიტეტის დასრულების *დიპლომს.***

დიგიტალური უნივერსიტეტის სამი ფაკულტეტი 30 სხვადასხვა ვიდეოლექციას და 240 -ზე მეტ ინტერაქტიურ დავალებებს გთავაზობთ

რესურსები პასუხობს ბავშვებისთვის საინტერესო ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვებს:

- როგორ მუშაობს 3D პრინტერი?
- როგორ კითხულობენ და წერენ უსინათლოები?
- როგორ დადის მანქანა მძღოლის გარეშე?
- რატომ ხმაურობს ნიჟარა ყურზე მიდებისას?
- რა საერთო აქვს თვიმფრინავსა და თუნუქის ქილას?
- როგორ გავზომოთ მდინარის სიგანე?

ამ და კიდევ ბევრ სხვა შეკითხვაზე პასუხს პროფესორ აინშტაინისა და ქალბატონ შლაუსგან შეიტყობთ. ესტუმრეთ საიტს, მოისმინეთ პროფესორ აინშტაინის მისალმება, დარეგისტრირდით მასწავლებლის გრაფაში და გაიგეთ უფრო მეტი დიგიტალური საბავშვო უნივერსიტეტის შესახებ.

იხილეთ საიტი მოცემულ ბმულზე Kinderuni (goethe.de)

დაასკანირე

იმ შემთხვევაში, თუ ვიდეოების, სახალისო აქტივობებისა და დავალებების გარდა თქვენი მოსწავლეებისთვის ექსპერიმენტების შეთავაზებაც გსურთ, მაშინ დაუკავშირდით **თბილისის გოეთეს ინსტიტუტს** და ისარგებლეთ *საბავშვო უნივერსიტეტით ჩემოდანში. საბავშვო უნივერსიტეტი ჩემოდანში* გახლავთ მობილური ლაბორატორია საინტერესო ექსპერიმენტებით, რომელიც იძლევა მულტიდისციპლინური პროექტებისა და მასტერ-კლასების ჩატარების შესაძლებლობას. ჩემოდანი მობილურია და ხელმისაწვდომია ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.